



ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV • art review 11.2023

“ARTISIN FOCUS” - MERAB KOPALEISHVILI

ქსაუბრა მარია შერბადაშვიდი

საუბარი ხელოვნთან



მერაბ კოპალეიშვილი

**მერაბ კოპალეიშვილი -
ხელოვანი.**

**პიხვედი შეხება
ხელოვნებასთან.**

**ხოდის აღმოაჩინეთ
ხომ ხელოვნებით
ხაით დაინტეგრირებული
და ხოვოხ
განავითაჩეთ ეს
ინტეგრირება?**

ღრმა ბავშვობას უკავშირდება. მასსოვს ჯერ კიდევ 3 წლის ვიყავი, როდესაც ოჯახის ახლობელმა ძალიან ლამაზი ჩეხური ფანქარი მაჩუქა. მაშინ 1970-იან წლებში უცხოეთიდან გამოგზავნილი ნივთი საუცხოო იყო და ბავშვს კიდევ უფრო მეტი ემოციით დამამახსოვრდა. როგორც ყველა ბავშვი მეც ვხატავდი აქტიურად, მაგრამ ყოველთვის გამორჩეული მისწრაფება მქონდა სამხატვრო ინსტიტუტებთან, ფუნჯი, ფანქარი ეს სულ სხვაგვარად მაღელვებდა. სამტრედიაში ცხოვრების პერიოდში ისე დამეთხვა, რომ ჩემს ბავშვობაში გახსნეს სამხატვრო სკოლა, გვყავდა ბრწყინვალე მასწავლებლები და აქ უკვე პროფესიულად დავიწყე შესწავლა ფერწერის, ჭედურობისა, ქანდაკებასაც. უნივერსალურად ვსწავლობდი ყველაფერს მე-3 კლასიდან მე-8 კლასამდე. მე-8 კლასიდან ჩავაბარე მოსე თოიძის სასწავლებელში. იქ უკვე სრულიად „მონამლული“ ვიყავი, 14 წლის ასაკში სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდილებები უკვე მქონდა, მაგრამ მაგ პერიოდიდან სრულიად სხვანაირად აღმოვაჩინე ლიტერატურა, კინემატოგრაფია. ეს იყო დრო, როცა ვიკრიბებოდი ჩემად და ვიდუოვასებებზე ვუყურებდით ფილმებს. იყო ფილმები კარატემეც, ბრუსლიმეც, მაგრამ იყო ასევე „უკანასკნელ ტანგოს პარიზში.“ ბერტოლუჩის კონფორმისტი უკვე ვიცოდი, მაგრამ ეს ფილმი პირველად ვნახე და მივხვდი რომ ფერწერასთან, ემოციებთან, შერბადაშვიდთან მაქვს საქმე. მერე თანდათან გავაცანი ფორმანს, ფელინის და ა.შ. აკადემიაში ჩასაბარებლად როცა ვემზადებოდი ჩემი პედაგოგი იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, 60-იანი წლების თაობაში ერთერთი საუკეთესო ფერმწერი, და იმ დროის გამორჩეული ინტელიგენტი - თენგიზ სოსელია, ის არ მასწავლიდა მხოლოდ ხატვას არამედ სამყაროსთან ურთიერთობას. მისი ამბები მნუსხავდა და ვემგობრობოდი. ცხოვრების მანძილზე ასეა, ამ ყველაფრით იფლინებები, თუკი უნარი გაქვს. პლასტმასი პლასტმასია, მაგრამ აი ცოცხალ ხეს თუ დარგავ ის სიცოცხლეა. ამას წინათ იყო საუბარი რომ ხელოვნურ ინტელექტს ადამიანზე უკეთ შეუძლია მოთხრობის დაწერა, უკეთ არა არამედ სრულყოფილად, უნაკლოდ, ამდენადაც, ჩემი აზრით, უნიჭოდ. ნიჭიერება ნაკლის გარეშე არ არსებობს - ეს ჩემი აზრია. იმის თქმა რომ გენიალური მხატვარი იდეალური მხატვარია არასწორი მგონია, ლეონარდოც არაა იდეალური, ეს არის იდეალისკენ სწრაფვის სავალი გზა. ესაა მთავარი. ამიტომაც სულ ვხატავ, სულ მოძრაობაში ვარ, რადგან თუკი გაჩერდები - წაიქცევი.



**შემოქმედებითი პირობები და ყოველდღიურობა.
გავიზიარებთ ეს უხილავი კავშირი.
საიდან იღებთ შთაგონებას?**

ჩემი ყოველდღიურობა 12 საათიანი შრომა ბაზარში, კანფეტების გაყიდვა ეს ერთერთი აუცილებლობა და ვალდებულებაა. მაგრამ მოვდივარ სახლში და მელოდება ნამუშევრები რომელზეც უნდა გადავერთო, დავასრულო, ის მეძახის. გინევს ხანდახან იმის კეთება რაც დიდად არ გინდა, მაგრამ გჭირდება. მეორეს მხრივ შემოქმედებაში სრულიად თავისუფალი ვარ, აქ ვერავინ ჩაერევა, ვერავინ მიმითითებს. შთაგონებას როგორც ყველა მხატვარი, მეც არსებული რეალობიდან ვიღებ. ყველაფერი რაც კი დანერვილა, გადაღებულია – ყველაფერი მაინც ავტობიოგრაფიულია. მემგონი ვულფმა თქვა, რომ ომი და მშვიდობა ყველაზე ავტობიოგრაფიული წიგნიაო. ვეთანხმები. ის რაც უხილავია, ხელის ცეცებით ეძებ, აღმოაჩენ და ეს ყველაფერი ყოველდღიურობის ნაწილი ხდება.

ათობით განსხვავებული ნამუშევარი და ძალიან ავთენტური ხედვები. ფეხწეა, აპრიკაცია, წიგნის გაფორმება, პაპიე მამე.

გავიზიარებთ თქვენი სამუშაო პირობები. ხა აჩის ის საერთო და განსხვავებული ხასაც სხვადასხვა მასაღზე მუშაობით გამოსახვით?



გამოცდილება – გავლილი გზა არის უმთავრესი, ეს გმატებს სიახლეს; ზოგჯერ ტვირთად იქცევა, მაგრამ მაინც დამხმარეა. ის რასაც 20 წლის ასაკში ვაკეთებდი, მეტი ხალასი დამოკიდებულებით, მერე შესაძლოა ვეღარ გავიმეორებ. ესაა მომენტები, რაც ხელიდან არ უნდა გაუშვა, რადგან ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. დროის მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ წავიდა შენი მატარებელი ვერ გავიკიდები, გამოცდილების შემძენი მომენტები არ უნდა გაუშვა. შემოქმედებითმა მუშაობამ არ იცის ახალი წელი, დაბადების დღე – მუდმივად პროცესში ხარ. არის კიდევ ერთი, მომენტი როდესაც ნამუშევარი გიბიძგებს იმას თუ როგორი მიმართულებით წახვიდე. ნამუშევარს ზეთში თუ აკეთებ და თან მე ზეთის სქელ ფენას ვიყენებ, მაშინ დრო, დისტანცირება გჭირდება რომ დაელოდო და გაშრეს ნამუშევარი. ერთ ტექნიკას რომ დავუფლები, მეტი სირთულეების დაძლევა მინდება. ყველა ამ ძიებაში ერთი ავტორი ვლინდება ცხადია, უბრალოდ სხვადასხვა ტექნიკა სხვადასხვა გამოწვევის წინაშე გაყენებს და ეს საინტერესოა.



თქვენს შემოქმედებაში ეთოვრები ნაივური სიმბოლიზმით ეთიანდება უამრავი სცენა, პეისონაჟი, ცოცხალი ახსებები თუ საგნები, რომლებიც სხუდიად სხვადასხვა ხაკუხით მაგეხიადიზებებიან. თქვენ თავად ხოგოი დაახასიათებდით ამ უაღრესად ინდივიდუალური ხედვასა და საკუთარ შემოქმედებით სწრაფვას?

ინდივიდუალიზმი ზუსტად აღნიშნეთ და ცხადია, რომ ყველა ადამიანი და მით უმეტეს მხატვარი სუბიექტია. ის თავისებურად ქმნის და ავითარებს საკუთარ ხელწერას, ამის გარეშე რანაირი მხატვარია? მაგრამ ამავდროულად უმთავრესია იმის გააზრება, რომ თითოეული ჩვენგანი ვართ დიდი მთლიანობის ნაწილი, რიგითი რგოლი იმისა, რასაც ქვია კაცობრიობა და კულტურა. პირველყოფილმა ადამიანმა რომ გამოქვაბულში ხარები გამოსახა (მაგაზე შორს ისე არც წავსულვართ), ეს გენიალური მიგნება უკვე შენი ნაწილიცაა და შენც ამის რიგითი რგოლი ხარ. ამ არქაული დროი-



დან დაწყებული თუ პიკასოთი ან მიროთი გაგრძელებული ეს უწყვეტი ჯაჭვია, შენც გინდა რომ ამას ეზიარო, მუსიკა, ლიტერატურა ესეც ამ მთლიანობის ნაწილია. ის რასაც კითხულობ, რასაც ეცნობი აქედან იღებ იმპულსებს, ერთია რომ ეს არის და მეორეა რომ შენ მუშაობ იმაზე რომ ეს ყველაფერი შეიგრძნო. სასთუმალთან სულ მიდევს წიგნები „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, „ომი და მშვიდობა“ თუ მოთხრობები ან გალაკტიონის პოეზია – არ აქვს მნიშვნელობა, განწყობას გააჩნია. მაგრამ როდესაც იწყებ ჰემინგუეის კითხვას, შენ მისი მეგობარი ხდები, მასთან ერთად მოგზაურობ. ამდენად, რასაც ადამიანი ქმნის ნებისმიერი ადამიანი, ეს საჩუქარია და ამაშია სიცოცხლის ხიბლიც.

ხელოვნება აჩის...

ხელოვნება არის საჩუქარი, თან ტვირთია, მაგრამ მაინც საჩუქარი. გახარებს, გავსებს და მუდმივად შენთან მყოფია. არის ბევრი პროფესია, როცა ასრულებს ადამიანის სამუშაო დღეს და აღარ ფიქრობს სამსახურზე, მაგრამ როცა მხატვარი ხარ 24 საათის მანძილზე სულ ხარ მოცული ამით, არ ისვენებ, პირიქით.


მხატვარი – ესაა პროფესიაც, სტატუსიც...

მე ანდერძად ვიბარებ, რომ მოგვკვდები საფლავის ქვაზე არც სახელი დამაწერონ, არც გვარი მხოლოდ ერთი სიტყვა – მხატვარი.



Merab Kopaleishvili

*Interviewed by
Mariam Shergelashvili*



Merab Kopaleishvili – an artist. Your first exposure to art. When did you discover your interest in art and how did you develop this interest?

This traces back to my early childhood. I vividly recall being 3 years old when a family relative gifted me a beautiful Czech pencil. In the 1970s, receiving something from abroad was quite extraordinary, and as a child, the experience left a lasting impression on me. Like most children, I had an inkling to drawing, but my fascination with art tools, such as brushes and pencils, was exceptional. As I grew up in Samtredia, I was fortunate that an art school opened nearby during my formative years. Under the guidance of excellent teachers, I was able to study painting, engraving, and sculpture professionally, further nurturing my love for the arts. I attended a comprehensive school from 3rd to 8th grade before enrolling in the Mose Toidze Academy.

By the time I was 14, I was already hooked on art and had various life experiences. It was during that period when I discovered literature and cinema in a completely new light. I remember the times when we would gather in secret to watch movies on videotapes. There were karate films and Bruce Lee movies, but there was also "Last Tango in Paris." I was already familiar with Bertolucci's Conformist, but seeing this film for the first time made me realize that I was experiencing painting, emotions, and sensations. Gradually, I became acquainted with directors like Forman and Fellini. When I prepared to enter the academy, my teacher was an extraordinary person, Tengiz Soselia, one of the best



painters from the 1960s generation and a prominent intellectual of that time. He taught me not only how to paint but also how to perceive the world. He shared his insights with me, and we became friends. Throughout life, if you have the capacity, you absorb all of this to the fullest. While plastic is just that, planting a living tree to life is the essence of life. Some people claim that artificial intelligence can write a story better than a human, not just better, but perfectly and flawlessly. In my opinion, flawlessness is not always desirable. Talent often comes with imperfections. I believe it is inaccurate to say that a genius artist is an ideal artist. Even Leonardo wasn't perfect; the goal is to strive for the ideal. That's the main thing. That's why I draw all the time and stay in motion because if you stop, you fall.



Creative process and routine. Share this interconnection. Where do you draw you inspiration from?

My daily routine consists of 12-hour work shifts at the market, where selling candies is one of my responsibilities and obligations. However, when I return home, there are artworks waiting for me to switch to and complete; they call out to me. Sometimes, you have to do things you don't necessarily want to do, but you need to. On the other hand, I have complete freedom in my creativity – no one can interfere or direct me in this aspect. Like all artists, I draw inspiration from the existing reality. Everything that has been written or filmed ultimately has an autobiographical aspect. I believe it was Virginia Woolf who said that War and Peace is the most auto-biographical book, and I agree with her. The unseen elements are what you seek with your hand, and once you find them, they become a part of your everyday life.

Dozens of illustrated works and a very authentic handwriting. Painting, application, book decoration, papier mache. Share your work-flow with us. What is the same and what is the difference that you depict by working with different materials?

Experience is crucial – the path taken adds novelty to one's life. Sometimes it may feel like a burden, but it remains valuable. What I could do when I was 20, with a more daring attitude, I might not be able to do again. It's essential not to miss these moments because you cannot step into the same river twice. Timing is of utmost importance. If your train has left, you cannot catch it; you mustn't miss those opportunities to gain experience. Creative work doesn't recognize events like New Year's or birthdays – you're constantly in the process. Sometimes, the artwork itself guides you in the right direction. For example, when working with oil paint and applying thick layers, you need time and distance to let the work dry. Once I master one





technique, I'm eager to tackle more challenges. The same author emerges throughout all these explorations. Different techniques present unique challenges, and that's what makes the process intriguing.

Your work often unites various scenes, characters, living beings, or objects through a unique naive symbolism, materializing from diverse perspectives. How would you describe this distinctive vision and the driving force behind your creativity

Individualism is undoubtedly important, as every person, especially an artist, is a unique subject. Each artist creates and develops their own distinctive style, which defines their identity. However, it is crucial to understand that we are all part of a greater whole, a mere link in the chain of humanity and culture. From the primitive man depicting bulls in a cave (we haven't come too far from this) to the works of Picasso or Miró, we are part of an ongoing chain and we want to contribute to it. Music and literature are also essential components of this entirety. The impulses we receive from what we read and learn shape our creativity. Books such as "Alice in Wonderland," "War and Peace," He-

mingway's stories, or poetry of Galaktioni are always close to me – their presence alone sets the mood. When you start reading Hemingway, for example, you become his friend and travel with him. In this way, what a person creates is a gift for others, and that is the true beauty of life.


Art is...

Art is a gift, as well as a load to carry – but a gift nonetheless. It brings joy, fills you up and stays by your side. There are many career paths where a person does their job and forgets about it at the end of the day. But when you are a painter, you are encompassed by this all day long. You never rest. Artist – this is a profession, a status. When I die, my will is that no name, no surname is to be written on the tombstone, only one word - artist.



მირაბ კოვადიძე
კოტი ბორცვაძე

ჯეორჯიან ხელოვნება





მერაბ კოპალეიშვილის სახვითი სამყარო და ხელწერა თვით-მყოფადია. მისი ნამუშევრები მუდმივ დიალოგშია მოდერნისტულ ხელოვნებასთან, თუმცა იგი ამ პერიოდს თუ მიმდინარეობას ასევე საინტერესოდ აცოცხლებს ქართულ რეალობაში. შერჩეულ ნამუშევრებში არაერთი სტილი და კულტურული იდენტობა ერთიანდება, ესენია: მექსიკური კედლის მხატვრობა (მურალიზმი), საბჭოთა მოზაიკური და მონუმენტალური პანოები, პრიმიტივიზმი (ნაივ არტი) და ნეორეალიზმი. ყველა ეს მიმართულება, სტილი და კულტურული პერიოდი ეფუძნება სოციალური და მოდერნისტული ხელოვნების ელემენტებს. რეალისტურ და საგნობრივ ფერწერაში იკითხება მოქანდაკის ხედვა, გადანყვება. ასახული სულიერო და უსულო სამყარო მოცულობითია, მრგვალია; ფორმის ძიება და ნიუანსირება ქმნის შინაარსს და ემოციას. გულბურყვილო, მარტოსული და გაუცხოებული არსებებები, გარემო თუ ნივთები ერთმანეთთან სკულპტურული ფორმების საშუალებით საუბრობენ. მერაბ კოპალეიშვილის ხელოვნება წარმოადგენს ერთგვარ აღმოჩენას, იგი არ მიეკუთვნება რომელიმე პროფესიონალ მხატვართა თაობას თუ დაჯგუფებას. მისი ემოციური, გახსნილი და პირადაპირი ვიზუალური სამყარო გამორჩეულია და ღირებული, როგორც ქართული სახელოვნებო სივრცის უჩვეულო გამოვლინება.



ფარნარა

არსებული ნამუშევრების სერია უმთავრესად წარმოადგენს სხვადასხვა დროს ზეთის საღებავით შესრულებულ ფერწერულ ნამუშევრებს 1990-იანებიდან 2000-იან წლებამდე. სურათების ზოგადი ხატოვანება, იკონოგრაფია და ფერთა გამა გაგვასვენებს თბილისურ ფერწერულ სკოლას თუ საბჭოთა დეკორატიულ-მონუმენტალურ ხელოვნებას, თუმცა მერაბ კოპალეიშვილის ხედვა და საშემსრულებლო გადაწყვეტა წიგნის ილუსტრაციების, აფიშების თუ პოსტერების გამომსახველობას ეხმიანება. ამ გზით მხატვარი რეალობის და პირადი განცდების თავისებურ ფერწერულ წაკითხვას გვთავაზობს. ეული, რეფლექსიური, ღრმა ფსიქოლოგიზმით გაჭერებული ადამიანებით და მათთან თანაგრძნობით მოცულია მთელი ურბანული თუ კამერული გარემო, ყოფითი სცენები, ცხოველები და უსულო საგანები, როგორც იდეათა სამყარო. ადამიანთა ყოფა ემსგავსება მხატვრულ მიზანსცენებს, ჰუმანისტური იდეები, ლი-რიზმი და სევდა გადადის სულიერ და უსულო მატერიებზე, თითქოს ისინი ამ ეგზისტენციების ანარეკლები და ამავედროულად ემპათიური ექოები ხდებიან. სევდიანი, ვნებიანი და მიღმიერი მზერები მონაცვლეობენ, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის გამომხატველი ნიღბები. ყოფითი მოქმედებები, მოძრაობა შედეგდება, ხევდება სულიერო-უსულო სამყარო, რითაც რეალიზმის და სიზმრის გაორებული განწყობა იქმნება. ამ გამოგონილ ქალაქსა და მათ სევდიან მოქალაქეებში, ყველაზე ცხოველი, რიტმული და ამოუხსნელი მაინც სტილიზებული თუ დეკორატიული პატერნებია, ანუ სამოსის, ინტერიერის, სიტყვების სახით... სწორედ აქ იქმნება მიჯნა საბჭოთა და თბილისურ ფერწერულ სკოლებთან; ადამიანთა ყოფიერებაზე თხრობა ფსიქოლოგიურ, უმნიშვნელო თუ „ფამილარულ“ ნიუანსებში ვლინდება.




ბიბლიურ-მითოლოგიურ მოტივებში ყრდნობა-ყრდნობა



აქ ერთიანდება ხელოვანის ფერწერული ნამუშევრები, რომლებიც ბიბლიურ-მითოლოგიურ მოტივებზეა შექმნილი. შესქელებული, „ახორკლილი“ თუ პასტოზური ფაქტურის მცირე და დიდი ზომის ტილოები შესრულებულია ნაივურ სტილში. ნაივური ხატოვანებაში დომინირებს აქრომატული ფონები, შუქ-ჩრდილის თამაში, მასშტაბების დარღვევა... ფერწერული ტილოების ბურუსი, პირობითობა კვლავ გამიზნული მცდელობაა ავტორის, რათა „ქრისტეს ვნებანის“ საკრალური და შეუბღალავი მოცემულობა ყოველგავარ პათოსს და ტრადიციულ თხრობას აცდეს, თითქოს ავტორმა იხილა, უთანაგრძნო, განიწმინდა და ახალი თვისობრიობა მიანიჭა ბიბლიურ სცენებს.

ბიბლიურ-მითოლოგიური სერიის მხატვრულ გამოსახულებას აგრძელებს, მაგრამ თემატურად დამოუკიდებელი ნამუშევრებია - „ორფეუსი“ და „ცივი ატამი დედოფლისათვის“. მათში იკვეთება: თბილი, ზომიერი განათების სცენები და ნაივურად მოდელირებული ფიგურები, რითაც ხვდები რომ მხატვარი ზედაპრზე რამდენადმე მრგვლოვან ფორმებისკენ, ანუ სკულპტურისა და მონუმენტალური პლასტიკისკენ მიდის; ფორმათა ამ პირობითობასთანაა შეზრდილი კომპოზიცია...

„სარუშარი“ ღიბარატურული მოტივები



ამ ქვეთავში წარმოდგენილია ფრაგმენტები მერაბ კოპალეიშვილის მხატვრული სერიიდან „საჩუქარი“. სერია 7 ტომეულია და აერთიანებს შერეული მედიის (გუაში, ფერადი ფანქარი, ტუში, აკლიკაცია) 350-მდე ნამუშევარს, რომელიც ავტორმა 1990-2000-იან წლებში შექმნა. უმთავრესად სურათები ავტობიოგრაფიულია, ვმოგზაურობთ მხატვრის წარსულში, გამოცდილებებსა და შთაგონებებში. ყოფითი სცენები, კვლავ უტყვი, იშპერსონალურია – სილალისა და სევდის ინტერვალში მოწმინდული...

ადამიანთა იერსახეები ემოციურ მახასიათებლებს უკუაგდებენ, მათი სახეები თვალების გარეშე ან კიდევ ცისფრად ტონირებულია. კამერული ფონი თუ ურბანულ-საზოგადოებრივი სივრცე თეატრალურადაა მოწესრიგებული, მხოლოდ პირობითობა ან პირიქით ასკეტური ლაკონურობაა... ფრენსტ ჰემინგუეის, ვაჟა ფშაველას მოთხრობების და ყოფითი სცენების ამსახველი სურათები ერთნაირი პათოსით და დრამატურგიით ვლინდება. მხატვრის შემოქმედებაში მისი მხატვრული და რეალისტური გმირებიდან, მოცემულობებიდან წამოსული ინსპირაციები „ვერ“ ნაწევრდება. ხელოვანი გამომწვევად ასურათხატებს ასე თავის ცხოვრებას, ლიტერატურა კი წმინდა ხატებად ამოიტივფრა, როგორც ზოგადი აღქმის წერტილი.

ერთობში, საგანთა იდუმალი წესრიგი, მარტოობა და სიყვარული, აი რა აერთიანებს ამ ნამუშევრებს. მხატვარი თუ ადამიანებს რამდენადმე ზედაპირულად ან ნიღბისებურად ხატავს, მას აკომპენსირებს თუ აბრუნებს დრამატურგიულად: სულიერ არსებებში, უსულო საგნებში, გარემოსა და აბსტრაქტულ-ორნამენტულ კომპოზიციებში. აბსტრაქტული და ორნამენტული შტრიხები ერთგვარი მონტაჟიკაა, ტკივილიც და გაფანტული თხრობაც, ეს განყენებული პლასტები ხელოვანის ახირებაა, რათა შეგიყვანოს მის აზრთა წყობაში, სადაც კონკრეტულად ცდება ნამდვილ გრძნობებს - თავად ავტორს, ჰემინგუეის, ვაჟა ფშაველას. ტრაგედიას, ადამიანს უპირისპირდება ფსიქოდელოია, ჰალუსინაცია. ყველაფერი „უგმიროდ“ ვითარდება...

ამავე რუბრიკაში ვხვდებით ავტორის პირად მოგონებებს ბავშვობიდან და ხელოვნების სფეროებიდან წამოსულ ინსპირაციებს (ვინსენტ ვანგოგისა და დონკიხოტის სახით), ხოლო ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“ წარმოადგენს ამ ლიტერატურული ნაწარმოების სრულფასოვან ილუსტრაციას თავისი განვითარების თუ თანმიმდევრული ვიზუალური თხრობის ასპექტით.

არსებული სელექცია თითქმის ყველა შემოსხენებულ სტილისტურ და შინაარსობრივ ნიუანსებს ითვალისწინებს, თუმცა აქ გამოკვეთილად და ფილიგრანულადაც კი იკითხება წიგნის ილუსტრაციის და კინოაფიშების ენა. ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალში“ თავს იჩენს: სივრცის აბსტრაგირება, მიზანსცენის აღმნიშვნელი, მთავარი სახე-ხატის მოქმედ პერსონაჟთან შეკავშირება, აქრომატულობა, ფერადი ლაქების სიმბოლოებად გამოყენება, რიტმი, კოლაჟური თხრობა... ლიტერატურული ნაწარმოების ყოველი კარი (შეუცტიტული) ერთგვარი დრამატურგიული კამერტონია, სადაც სივრცე ხდება არქაული და გამომწვევად მყვირალა ფერში გადაწყვეტილი გამოსახულება აცოცხლებს და ამძფრებს მომდევნო გვერდების ხილვის სურვილს.

papier-mâché



ქანდაკობა papier-mâché ტექნიკა

მერაბ კოპალეიშვილმა 1985 წლიდან თოიძის სამხატვრო სკოლის დასრულების შემდეგ, მოზარდ-მაყურებელთა თეატრში დაიწყო მუშაობა. თეატრში მუშაობის პერიოდს უკავშირდება პირველი ქანდაკების, სფეროს, დამზადება პაპიე-მაშეს ტექნიკით.

პირველი ექსპერიმენტების შემდეგ მხატვარმა მალევე შეწყვიტა ამ ტექნიკაში მუშაობა და 80-90-იან წლებში ფერწერულ სერიებს ქმნიდა ინტენსიურად. პაპიე-მაშეს ტექნიკაზე მერაბ კოპალეიშვილმა მუშაობა 2000-იანი წლების დასაწყისში განაახლა. ეს ბიძგი ერთის მხრივ გამოწვეული იყო სამხატვრო მასალების გაძვირებით, თუმცა შემდეგ როგორც ავტორი აღნიშნავს, ქანდაკების პროცესმა არანაკლებ გაიტაცა. ეტაპობრივად მერაბ კოპალეიშვილის პაპიე-მაშეს ტექნიკაში შესრულებულ სკულპტურებს დაემატა გამაფორმებელი დეტალები, როგორცაა კომპოზიციაში მოზაიკურ პრინციპით ფაიფურის, ქვების თუ სხვა მასალების სინთეზურად დამუშავება. აქ გვხვდება ცალკეული სერიები ბერძნული ციკლიდან სიურეალისტური და კიტჩური ფიგურები, პანოები და ობიექტები. მერაბ კოპალეიშვილის პაპიე-მაშეს ტექნიკით შესრულებულ ქანდაკებებში ვლინდება ფერადოვანება, ავტორისთვის სახასიათო ფერწერული სწრაფვა, რაც ქანდაკებებში მოცულობით ექსპრესიას იძენს ფერადოვანი, ნაივური ფორმებისა და დეტალების სინთეზით.

პაპიე-მაშეს ტექნიკით ქანდაკებებს ავტორი დღემდე აქტიურად ავითარებს.

Merab Kopaleishvili

Author's Signature



Kote Bolkvadze


Merab Kopaleishvili's distinct world and handwriting are uniquely independent. His works consistently engage in a dialogue with modernist art while intriguingly revitalizing this period and movement within the Georgian context. The selected pieces showcase a fusion of styles and cultural identities, including Mexican muralism, Soviet mosaics and monumental panels, primitivism (naïve art), and neorealism. Each of these directions, styles, and cultural periods draws upon elements of social and modernist art. In his realistic and objective paintings, the sculptor's vision and solutions are evident. The depicted spiritual and inanimate world appears voluminous and rounded; the pursuit of form and nuance generates content and emotion. Naïve, isolated, and alienated beings, environments, or objects communicate with one another through sculptural forms. Merab Kopaleishvili's art represents a unique discovery, transcending any specific generation or group of professional artists. His emotional, open, and personal visual world is both exceptional and valuable, serving as an extraordinary manifestation of Georgian artistic space.



Painting



The current series of works primarily features oil paintings from the 1990s to the 2000s. The general iconography and color scheme of these pieces evoke the Tbilisi painting school or Soviet decorative-monumental art. However, Merab Kopaleishvili's vision and creative approach resonate more with book illustrations, posters, or prints. In this manner, the artist presents a unique visual interpretation of reality and personal emotions. The entire urban or intimate environment, scenes of existence, animals, and inanimate objects are inhabited by people imbued with profound, introspective psychologism, who sympathize with them as if they were part of an ideational world. Human existence appears as an artistic mise-en-scène, with humanistic ideas, lyricism, and melancholy transferred to both spiritual and inanimate matter. These elements become reflections of existence and empathic echoes simultaneously. Sad, passionate, and mysterious gazes alternate like masks expressing both life and death. Existential actions and movements are condensed, offering glimpses of the spiritual and inanimate world and generating a dual mood of realism and dreams. Within this fictional city and its somber inhabitants, the most animalistic, rhythmic, and inexplicable elements are the stylized or decorative patterns found in clothing, interiors, and words. It is here that the boundaries with Soviet and Tbilisi painting schools are established, with the narration of human existence manifested in psychological, subtle, or "familial" nuances.



Biblical-Mythological Motifs

In this collection, the artist's pictorial works are centered around biblical and mythological themes. Both small and large canvases feature a thickened, bumpy, or pasty texture and are created in a naïve style. This naïve iconography is characterized by achromatic backgrounds, interplay of light and shadow, and the violation of scale. The colorful haze of the canvases and their conditionality represent the artist's deliberate attempt to distance the sacred and unblemished reality of the "The Passion of the Christ" from any form of pathos or traditional narration. It is as if the artist has seen, felt, been purified, and given a new quality to the biblical scenes.

The artistic imagery of the biblical and mythological series is continued in thematically independent works, such as "Orpheus" and "Cold Peach for the Queen." These pieces feature scenes with warm, moderate lighting and naively modeled figures, revealing that the artist is transitioning towards somewhat rounded forms on the surface, that is, towards sculpture and monumental plastic art. Concurrently, the conditionality of these forms enhances the composition.



ARTISTIC SERIES

GIFT

LITERARY MOTIFS

This subsection showcases fragments from Merab Kopaleishvili's artistic series "Gift." The series consists of 7 volumes and comprises approximately 350 mixed media works (gouache, colored pencil, ink, collage) created by the artist during the 1990s-2000s. The pieces are predominantly autobiographical, journeying through the artist's past, experiences, and inspirations. The real-life scenes are once again impersonal, marked by a blend of joy and sadness.

The faces of the people lack emotional features, with their visages either eyeless or shaded blue. The backgrounds of intimate or urban-public spaces are theatrically arranged, displaying either a sense of conditionality or, conversely, ascetic simplicity. Scenes inspired by the stories of Ernest Hemingway and Vazha Pshavela, as well as actual events, unfold with the same pathos and dramaturgy. In the artist's work, the inspirations drawn from artistic and realistic characters and situations are inseparable. The artist purposefully portrays his life in this manner, with literature being carved into sacred icons as a point of shared perception.

Eroticism, the mysterious order of things, loneliness, and love are themes that unite these works. Although the artist may depict people in a somewhat superficial or mask-like manner, he compensates for this by incorporating dramaturgy into spiritual beings, inanimate objects, environments, and abstract-ornamental compositions. Abstract and ornamental strokes serve as a form of

montage, pain, and fragmented narration. These applied patches reveal the artist's desire to draw you into his thoughts, where concreteness is intertwined with real feelings – those of the author himself, Hemingway, and Vazha Pshavela. Tragedy and human experience are confronted by psychedelia and hallucination, unfolding without a hero.

In the same collection, we find the author's personal childhood memories and inspirations from the world of art, such as Vincent Van Gogh and Don Quixote. Chabua Amirejibi's "Gora Mborgali" serves as a comprehensive illustration of this literary work in terms of its development and coherent visual narrative.

The existing selection encompasses nearly all of the aforementioned stylistic and content nuances, though the language of book illustrations and movie posters is distinctly and delicately present. Chabua Amirezibi's "Gora Mborgali" demonstrates this through the abstraction of space, the signification of *mise-en-scène*, the connection of the primary face-symbol with the acting character, achromaticity, the use of colored spots as symbols, rhythm, and collage narration. Each literary work's frontispiece acts as a dramaturgical tuning fork, where space becomes archaic and the deliberately vibrant color of the image evokes and intensifies the desire to see the subsequent pages.

Sculpture

Papier-Maché Technique



After completing his studies at the Toidze Art School in 1985, Merab Kopaleishvili began working at a youth theater. His time at the theater saw the creation of his first sculptures and spheres using the papier-mâché technique. Following his initial experiments, the artist soon stopped working with this method and, during the 80s and 90s, focused on creating series of paintings. Kopaleishvili returned to the papier-mâché technique in the early 2000s. On one hand, this resurgence was prompted by the increasing cost of artistic materials; on the other, as the artist notes, he became equally captivated by the process of sculpting.

Gradually, decorative details were incorporated into Merab Kopaleishvili's papier-mâché sculptures, such as the synthetic processing of porcelain, stones, and other materials within the composition, using the mosaic principle. Within this collection, we find a series of surreal and kitschy figures, panels, and objects from the Greek cycle. Merab Kopaleishvili's papier-mâché sculptures showcase his distinctive painterly drive through the synthesis of colorful, naïve forms and details. The artist continues to actively develop sculptures using the papier-mâché technique.



ANNOUNCEMENT

ანონსი

11

TAB (Tbilisi Architecture Biennial) project "January, February, March"

თბილისის არქიტექტურის ბიენალე, ჰროვაჟი -

ნიანვარი, თაბერვარი, მარტი

ZE GAVLENA

RAV • art review 10.2022